



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 72

2015 წლის 7 აგვისტო
ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის შესახებ

საკრებულომ განიხილა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში, მის მიერ ჩატარებული შემოწმების თაობაზე და აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ მასალებში იკვეთება მთელი რიგი ნაკლოვანებები და დარღვევები, რომლებიც შესაბამის რეაგირებას მოითხოვს.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მასალების პარალელურად, საკრებულოსათვის ცნობილი გახდა გამგებლის პირველი მოადგილის მოხსენებითი ბარათისა და მასზე დართული მასალების შესახებ, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს, ხოლო რიგ შემთხვევებში არ ეთანხმება შიდა აუდიტის ანგარიშში გაკეთებულ ანალიზს.

საკრებულოს მიიჩნევს, რომ მდგომარეობის ობიექტური შესფასებისა და ადეკვატური ღონისძიებების განხორციელებისათვის, აუცილებელია, სახელმწიფო აუდიტმა შეისწავლოს შიდა აუდიტის მიერ წარმოდგენილი მასალები და გამგეობის მიერ ფინანსური რესურსების ხარჯვის სისწორე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, 139-ე და 140-ე მუხლების შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა :

1. დაისვას საკითხი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის წინაშე, რათა უახლოეს პერიოდში უზრუნველყოფილი იქნეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ფინანსური რესურსების ხარჯვის და გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მასალების სახელმწიფო აუდიტი.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.